ხელშეკრულება №ო-134
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომ – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი მაისურაძის სახით (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 25, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 708157169, საიდენტიფიკაციო კოდი: 203853954)და

მეორე მხრივ, ი.მ მაია გოგიბერიძე (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისამართი: (ქ.თბილისი) პირადი ნომერი #01002015582; მიმღები ბანკი: სს თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22, მიმღების ანგარიში: GE69TB7369836010100003 ორივე ერთად წოდებული, როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 2012 წლის 24 იანვრის №99 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ -ხელშეკრულება) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
1.3. შემსყიდველი-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ან/და საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარულიდღე, კვირა, თვე.
1.6. მომსახურება - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საოპერო სპექტაკლისათვის ,,დაისი“ კოსტუმის საიღლიავეს შესყიდვა; (დანართი #1 ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს) CPV18420000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **550.00** (ხუთას ორმოცდაათი) ლარი, გადასახადების ჩათვლით;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება **თეატრის საკუთარი შემოსავლებიდან** ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
4.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.3. ანგარიშსწორების გრაფიკი - მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, წესი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2023 წლის 6 მაისამდე;
5.2. საქონლის მიღება ან/და მომსახურების გაწევა წარმოებს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის საფუძველზე, საქონლის მიღებას აწარმოებს თეატრის საწყობის გამგე გიორგი გალუაშვილი;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება;
ბ) ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ მიმწოდებელი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აანაზღაუროს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება ან/და საქონელი სრული მოცულობით;
ბ) ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
გ) განიხილოს შემსყიდველის დასაბუთებული პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მოდელიორი თამარ ჩარგეიშვილი;

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და დოკუმენტების კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებასთან ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობები გადაისინჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
8.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

9.1. მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.
9.2. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორსმაჟორი). მისი არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.3. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთ შეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ხელშეკრულების პირობები.
11.2.მხარეებს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით; ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით; ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში-პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ისოდენობით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდებამოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელივერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნითშეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. სხვა დებულებანი

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისამდე;
13.1 ხელშეკრულება შედგენილია ,,ელექტრონული დკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი : **მიმწოდებელი:**

სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალეტის
პროფესიული სახელმწიფო თეატრის

სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
ბადრი მაისურაძე **ი.მ მაია გოგიბერიძე**

....

დანართი#1

დასახელება	*განზომილება*	*რ-ბა*	*ერთეულის ფასი*	*ფასი*
კოსტუმის საიღლიავე	წყვილი	100	5,50	550.00

სულ: ხუთას ორმოცდაათი ლარი 550.00

შემსყიდველი :

სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის

სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ბადრი მაისურაძე

.....

მიმწოდებელი:

ი.მ მაია გოგიბერიძე

.....

LEPL ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

Digitally signed by LEPL ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2023.04.26 16:52:22 +04'00'

Maia Gogiberidze

Digitally signed by Maia Gogiberidze
Date: 2023.04.26 18:49:29 +04'00'